დევიზი: აკაკაღლოთ პასუხისმგებლობა, განვამტკიცოთ დისციპლინა

პროლეტარიერო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

მეჩხერი ფოცი
БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს გაზეთი
ГАЗЕТА МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3 (2547) ფასი 2 კაპ. ორშაბათი, 17 იანვარი, 1983 წ.

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
Газета выходит с 1926 года.

ორგანიზებულობა, გამრჯელობა, დისციპლინა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავის ზეიმი ნეშტს რესპუბლიკამ ფეხი შეაბა 1883 წელში ფაბრიკანტი ფაბერჟე ხელოვნების მუსეუმ წლის კვალზე ზეაღორძინა.

ხანგრძლივ კოტიტიკური პარტიის ეკ ხელოვნელთ კონსპირაციის XXVI ეროვნებებზე დასაბერ- ლი ვიზეში წარმოგვიდგა ნიჭიერი ფეხი ცხოვრებანი, რომელიც ბოლ- ოვან ასალი ფაფერეული ფოლიანი და სოციალისტურ შეზეკეთობაში.

ამის შესახებ ეროვნულ კონგრესზე ოთხ ხანგრძლივ კონფერენციაზე ეროვნული პარტიის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის ტრიბუნაზე. სამ- ეროვნული კონფერენციის პარტიის ეროვნული ფერეული ფეხზეა, ამ- ნაგ ფეხი ვეფიფეფრის ფ ინერო- ეროვნ ხიტეკენ. რომელნაც ფასა- ინეკენეფი და ფ ინერ- ეროვნ ინეკენ ეროვნ ინეკენ ეროვ- ინეკენ ეროვ- ინეკენ ეროვ-

ტიხონ იაკობის ძე კისელიოვი

1983 წლის 11 იანვარს მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, ტიხონ იაკობის ძე კისელიოვი.

წავიდა ჩვენგან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწე, რომელმაც მთელი სიცოცხლე შეალია კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს.

ტიხონ იაკობის ძე კისელიოვის ლენინური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის, მგზნებარე პატრიოტისა და კომუნისტის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ადამიანების გულში.

ჰუმანურობის თვალნათლივი აქტი

საბჭოთა ხელისუფლების წლებში განუხრელად გამდიდრდა ხალხის სულიერი ცხოვრება, ამაღლდა მისი კულტურული დონე და პოლიტიკური შეგნებულობა. მაგრამ საიდუმლო როდია, რომ ჩვენში, ჯერ კიდევ არც თუ იშვიათად თავს იჩენენ წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებული, თავისი არსით სოციალიზმისათვის უცხო ქმედობანი: როგორიცაა არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება შრომისადმი, მოშვებულობა, უდისციპლინობა, მომხვეჭელობა, საზოგადოებრივი და პირადი ქონების ხელყოფა, ხულიგნობა, სოციალისტური ცხოვრების ნორმების დარღვევა. ამიტომ კომუნისტური პარტია მთელი ჩვენი საზოგადოების, სამართალდამცავი ორგანოების ყურადღებას მიაპყრობს ამ მოვლენებს.

ანტისაზოგადოებრივი ელემენტების მიმართ შეურიგებელი ბრძოლის აუცილებლობას არაერთხელ აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი. იგი მოითხოვდა, რომ ასეთი პირები დატერორებული ყოფილიყვნენ „რკინის ხელებით".

თიახ, შემოქმედებითი შრომის ფერხულში ჩაბმული საბჭოთა ადამიანები თავიანთ რიგებში ვერ ითმენენ კანონის დამრღვევთ, დამნაშავეებს. ჩვენი ხალხის ნება-სურვილი ნათლად არის გამოხატული სკკპ პროგრამაში, სადაც ნათქვამია: „კომუნიზმის მშენებელ საზოგადოებაში არ უნდა იყოს სამართლის დარღვევა და დამნაშავეობა. მაგრამ სანამ არის დამნაშავეობის გამოვლინებანი, უნდა მივიღოთ სასტიკი ზომები იმ პირთა დასასჯელად, რომლებმაც ჩაიდინეს საზოგადოებისათვის საშიში დანაშაულობანი, დაარღვიეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები, არ სურთ ეზიარონ პატიოსან შრომითს ცხოვრებას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულთა თავიდან აცილებას".

მოითხოვს — დანაშაულთა თავიდან აცილებისათვის პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერების შესახებ, რაც მთავარია, მიზნად ისახავს ადამიანის გადარჩენას ულირსი საქციელის ჩადენისაგან. ეს არის ფაქტიურად ბრძოლა ადამიანისათვის. ბიოლოგიურად კარგი ან ცუდი ადამიანები ხომ არ იბადებიან. ისინი სხვადასხვა პირობებში ეარდებიან და ამიტომ ერთმანეთისაგან განსხვავებულ — ცუდ ან კარგ გზას ადგებიან. მაგრამ არიან გაუმაძღარნიც, ესე იგი, ისეთები, რომელთაც ლუკმა-პურისათვის ზრუნვა ან მატერიალურ პირობათა ერთგვარად გაუმჯობესება კი არ ამოძრავებთ, არამედ გამდიდრების მანიით არიან შეპყრობილნი. საბჭოთა კანონმა იცის დანაშაულის შემთხვევითი სახეებიც და რეციდივიც, მსუბუქი და მძიმე დანაშაულობანი. ამიტომ ჩვენ ვიყენებთ საზოგადოებრივი აზრის ფორმებსაც და სასჯელის მაღალ ზომებსაც. საბოლოოდ ადამიანებისადმი შემოქმედების ყველა საშუალებანი ისე უნდა იქნას გამოყენებული, რომ დავუბრუნოთ ისინი შრომის პროცესს, ვაქციოთ ისინი საზოგადოებრივ სასარგებლო პირებად.

ეს არის საბჭოთა კანონის ჰუმანურობის თვალნათლივი მაჩვენებელი. სწორედ ამ პრინციპის გათვალისწინებით ხდება პერიოდულად სასჯელის სრული ვადის გასვლამდე მსჯავრდადებულთა ამნისტირება. ასეთ აქტებს შორის განსაკუთრებით მასშტაბურია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 27 დეკემბრის ბრძანებულება.

ამ საკეთეს საკეთით უნდა უპასუხონ, რაც უპირველესი მოვალეობაა ყველასი, ვინც სასჯელის დადგენილი ვადის გასვლამდე დაუბრუნდა ოჯახს. ეს კი, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოიხატოს კეთილსინდისიერ შრომაში, სანიმუშო ქცევაში, საბჭოთა კანონების განუხრელად დაცვაში, ამაში კი მათ უნდა დაეხმარონ სამართალდამცავი ორგანოები, შრომითი კოლექტივები.

ამჯერად განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ შინაგან საქმეთა განყოფილებების უბნის ინსპექტორებს. მათ საუბნო კომიტეტებთან თუ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელებთან ერთად უნდა იზრუნონ პატიმრობიდან დაბრუნებული მოქალაქეების სამუშაოზე დროულად მოწყობისათვის, მათთვის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნისათვის. არ უნდა დავუშვათ ისეთი შემთხვევა, როცა ყოფილი მსჯავრდადებული თვეების მანძილზე უქმად დადის, ვერ ან არ ეძებს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, საწარმო-დაწესებულებათა მესვეურები თავს არიდებენ ასეთ პირთა კოლექტივში მიღებას, აშკარად თუ ფარულად უნდობლობას უცხადებენ მათ. ეს ხომ ხშირ შემთხვევაში ახალი დანაშაულის აღმოცენებას უწყობს ხელს.

თუმცა მარტო შრომაში ჩაბმით, სამუშაოზე მოწყობითაც არ წყდება პრობლემა. ამჯერად შრომითმა კოლექტივმა უნდა თქვას თავისი სიტყვა. და ეს კანონზომიერიცაა. იქ, სადაც ინტერესდებიან თანამოსაქმის არა მარტო საწარმოო მაჩვენებლებით, არამედ ზნეობრივი თვისებებით, ქცევით, იქმნება ჯანსაღი მორალური კლიმატი. ასეთ ვითარებაში კი პასიურობისათვის ადგილი აღარ რჩება, ის, ვისაც მიდრეკილება აქვს დისციპლინისა და წესრიგის დარღვევისაკენ, იძულებული ხდება დაემორჩილოს უმრავლესობის ნებას. ჯანსაღ შრომით კოლექტივში კი უმრავლესობის ნება და საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესები განუყოფელია.

და კიდევ ერთი საკითხი. ადგილებზე აუცილებლად უნდა გაძლიერდეს სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდა. რაც მთავარია, აღზრდის ამ ფორმამ უნდა მოიცვას ყველა, განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც მიდრეკილება აქვს სამართალდარღვევებისაკენ.

ჯულიეტა მიქელაძე.

მსჯელობენ კომუნისტები

უკვე ძალაში შევიდა ხუთწლედის მესამე წელი. პარტორგანიზაციებში, შრომელთა კოლექტივები ცდილობენ ღირსეულად შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანები. და აქ უდიდეს როლს ასრულებს პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების შესრულების კონტროლისა და შემოწმების სრულყოფა.

მართალია, უკანასკნელი წლების მანძილზე კონტროლის ორგანიზაციის ლენინური პრინციპები კიდევ უფრო განვითარდა, მაგრამ დღევანდელ სინამდვილეში, ჯერ კიდევ გვხვდება მინდობილი საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება, სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევა, მინიჭებული უფლებების ბოროტად გამოყენება, დასახული გეგმების შესრულების შიმდინარეობაზე კონტროლის შესუსტება და სხვ. რაც მთლიანობაში სოციალისტურ ნორმებიდან გადახვევას ნიშნავს. და რაოდენ სამწუხაროა ყოველივე ეს, როცა დანაშაულის სახეობათა მეტი წილი სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებზე მოდის.

სწორედ ამ სავალალო საკითხის განხილვას მიეძღვნა ფოთის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების ღია პარტიული კრება, რომელიც ამასწინათ გაიმართა ფოთში. კრებას ესწრებოდნენ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი გ. გვეტაძე, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი თ. შავგულიძე, საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ჯ. კახიანი, სახალხო დეპუტატთა ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. კუხალეიშვილი, პირველადი პარტორგანიზაციის კომუნისტები, კომკავშირელები და აქტივისტები.

კრებაზე მოხსენებით გამოვიდა შინაგან საქმეთა ფოთის საქალაქო განყოფილების პარტორგანიზაციის მდივანი, განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის დარგში მ. კვარაცხელია. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა საერთო დანაშაულის ფაქტების წილადობრივ სიმრავლეს, რომლების შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებზე მოდის. აღნიშნა ისიც, რომ ყოველივე ამაში თავისებური ბრალი მიუძღვის ყველა იმ განყოფილებისა და დანაყოფის კომუნისტებს, სადაც დანაშაული მოხდა, რადგანაც მოწინავე ხაზზე დგომა ის კი არაა, — არაფერს აშავებდე, არამედ ის რომ შენს გვერდში მდგომიც არაფერს აშავებდეს. შემდეგ პარტორგანიზაციის მდივანმა კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ი. ვ. ანდროპოვის მითითებების პრაქტიკულად განხორციელებაზე. სადაც პირველ ყოვლისა მითითებულია დისციპლინის განმტკიცებაზე, პასუხისმგებლობის ამაღლებაზე, პარტიულ პრინციპულობაზე...

კამათში გამომსვლელებმა ფოლინობა, უპასუხისმგებლობა და გულგრილობა მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების მიმართ.

კრების პრეზიდიუმი.

...თის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების თანამშრომლებმა. კომუნისტებმა ერთხმად მიუთითეს სამსახურებრივ საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, იმ დარღვევებზე, რომელიც ჯერ კიდევ შეინიშნება განყოფილების საქმიანობაში, ცალკეულ მუშაკთა უდისციპლინობა...

კრებაზე ახალგაზრდობის სახელით საინტერესო სიტყვით გამოვიდა საქალაქო განყოფილების რიგოსანი, ახალგაზრდა კომუნისტი ჯ. წულაია, იგი სამხედრო-სავალდებულო სამსახურის პირნათლად მოხდის შემდეგ მოვიდა შინაგან საქმეთა ორგანოში და ძალიან მცირე მონაკვეთში, ერთი წლის განმავლობაში სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა კოლექტივში.

ამიტომ იყო რომ მან, როგორც კომუნისტმა და მოწინავემ, თამამად განაცხადა პარტიული კრების ტრიბუნიდან იმ გადაუდებელი ამოცანის განხორციელების აუცილებლობაზე, როგორიცაა საშემსრულებლო დისციპლინის ამაღლება, აქტიურობა და პასუხისმგებლობა.

კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა გ. გვეტაძემ. ცხადია მინისტრის სიტყვა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ფოთის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკთა საქმიანობით, არამედ იგი შეეხო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებში და დანაყოფებში შექმნილ მდგომარეობას, საშემსრულებლო დისციპლინის, პასუხისმგებლობის, იდეურ-პოლიტიკური წრთობისა და ბრძოლისუნარიანობის მხრივ.

იქვე, ამხ. გ. გვეტაძემ სპორტსაზოგადოება „დინამოს" მეორე ხარისხის დიპლომი გადასცა ფოთის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსს გ. შერგელაშვილს, გასულ წელს ფიზიკური კულტურისა და მასიურ-სპორტული მუშაობის გააქტიურების საქმეში გაშლილი სოციშეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის.

კრებაზე მიღებული იქნა დადგენილება, სადაც ხაზგასმულია ფოთის შინაგან საქმეთა განყოფილებაში მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანები. მითითებულია აღმოიფხვრას მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები. დისციპლინის დარღვევის ყოველი ფაქტის მიმართ შეიქმნას შეურიგებლობის ატმოსფერო, მტკიცედ დამკვიდრდეს კოლექტივში სამართლიანობის, პატიოსნების, თავმდაბლობის,

სურათზე: ჯ. წულაია.

მაღალი პასუხისმგებლობის და საშემსრულებლო დისციპლინის პრინციპები. დადგენილებაში მითითებულია ისიც, რომ შინაგან საქმეთა განყოფილების კოლექტივმა ქალაქის მოსახლეობაზე დაყრდნობით იბრძოლოს სანიმუშო წესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა ლიკვიდაციისათვის.

რ. ფურაძე,
ვ. კიკალიშვილი.

მომავლის რწმენით

ჩვენი გაზეთის უკვე მესამე ნომერი მიიღო მკითხველმა. მაგრამ კეთილი სურვილები და მილოცვები ისევ მრავლად მოდის რედაქციის სახელზე. გვილოცავენ როგორც ქართული პრესის, ასევე მოძმე რესპუბლიკებისა და ქალაქების მონათესავე გაზეთების რედაქციები.

თავის მხრივ გაზეთ „მებრძოლი გუშაგის" რედაქცია დიდ მადლობას უძღვნის მათ, ვინც კეთილი სურვილებით და იმედით შეხვდა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს გაზეთის ახლად აღორძინებას.

განსაკუთრებით მადლიერების გრძნობით მოიხსენიებს „მებრძოლი გუშაგის" კოლექტივი გაზეთ „თბილისის" რედაქციას. განსაკუთრებით, ვამბობთ იმიტომ რომ მას შემდეგ რაც „მებრძოლი გუშაგის" გამოშვება შეწყდა, გაზეთ „თბილისის" (ცერძოდ ახლანდელი რედაქტორის ო. თისელიანის ინიციატივით) რედაქციამ ითავა თავის ფურცლებზე გაეგრძელებინა „მებრძოლი გუშაგის" სიცოცხლე.

თუ რა სიყვარულითა და რუდუნებით აკეთებდა ყოველივე ამას, ათეული წლის მანძილზე „თბილისის" რედაქცია, ალბათ კარგად ახსოვს მათ, ვინც თვალყურს ადევნებდა საღამოს გაზეთის ფურცლებზე „მებრძოლი გუშაგის" სათაურის ქვეშ დასტამბულ წერილებს, სტატიებს, ფოტო-სურათებს, დედაქალაქის მილიციის ფათერაკიან და საპასუხისმგებლო საქმიანობაზე.

და აი დღეს, ახლადაღორძინებულ, უკვე დამოუკიდებელ გაზეთს სწამს და სჯერა, როგორც რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების რედაქციების დახმარებით, ასევე გაზეთ „თბილისის" რედაქციის მთელი კოლექტივის კვლავაც აქტიური ხელშეწყობით საინტერესო და მრავალფეროვანს გახდის თავის ფურცლებს.

„მებრძოლი გუშაგის" რედაქცია

საინტერესო საღამო

საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავს მიეძღვნა საზეიმო საღამო, რომელიც თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საპატრულო-საგუშაგო სამსახურის დანაყოფში მოეწყო.

საზეიმო საღამოზე წესრიგის დამცველებს ესტუმრნენ შინაგან საქმეთა ორგანოების ლეწვლმოსილი მუშაკი, გადამდგარი პოლკოვნიკი ნ. არზიანი, გამომცემლობა „მერანის" თანამშრომელი პოეტი გიორგი მინდიაშვილი, ჟურნალ „ნიანგის" თანამშრომელი, იუმორისტი ჯ. ცინცაძე.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა დანაყოფის მეთაურის მოადგილემ პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მილიციის კაპიტანმა ზ. ტყეშელაშვილმა.

მოხსენებით გამოვიდა დანაყოფის თანამშრომელი მილიციის ლეიტენანტი რ. ბატიაშვილი.

დამსწრეთ ესაუბრა და საინტერესო ეპიზოდები გაიხსენა ვეტერანმა ჩეკისტმა ნ. არზიანმა.

პოეტმა გ. მინდიაშვილმა წაიკითხა რამდენიმე ახალი ლექსი, მწერალმა-იუმორისტმა ჯ. ცინცაძემ ისაუბრა ჟურნალ „ნიანგის" რედაქციის საქმიანობაზე, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში და დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ბ. მინდიაშვილი,
დანაყოფის კადრების ინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი.

НАШИ ПЕРЕДОВИКИ

НАГРАЖДЕНИЯ

За образцовое выполнение служебных обязанностей и в связи с 60-летием образования СССР награждены ПОЧЕТНОЙ ГРАМОТОЙ МВД СССР:

— подполковник милиции МАЧХАНЕЛИ ЭМЗАРИ ИРАКЛИЕВИЧ — начальник отдела МВД ГССР;

— майор милиции ПАТАРАЯ ГЕНРИ ФЕДОРОВИЧ — начальник отдела УБХСС МВД ГССР;

капитан внутренней службы НАДАРЕЙШВИЛИ ГУЛЬНАРА КОНСТАНТИНОВНА — директор производства учреждения УИТУ МВД ГССР.

ПОЧЕТНОЙ ГРАМОТОЙ МВД Грузинской ССР:

— подполковник милиции ДАВИДОВ ШОТА АЛЕКСАНДРОВИЧ — начальник отделения Информационного центра МВД ГССР.

За образцовое выполнение задания руководства МВД СССР и активное участие в организации Всесоюзной научно - практической конференции по вопросам снижения аварийности в СССР награждены ценными подарками:

— ШАРАШИДЗЕ ВАХТАНГ ИЛЬИЧ — директор гостиницы «Иверия»;

— ТЕВДОРАДЗЕ ИРАКЛИЯ ИВАНОВИЧ — директор типографии № 17;

капитан милиции ШАНШИАШВИЛИ ШОТА ШАЛВОВИЧ — заместитель начальника ХОЗУ МВД ГССР.

НА СНИМКЕ: участковый инспектор Сухумского ГОВД капитан милиции Э. Габисония.

НА СНИМКЕ: член совета Ленинской комнаты Потийского ГОВД сержант милиции Л. Кудия.

ПРОИСШЕСТВИЕ

ВЗРЫВ ГРАНАТЫ

26 декабря 1982 года. Часы показывали пятнадцать минут одиннадцатого ночи, когда в ресторане «Ломтагора» Марнеульского района произошел взрыв.

По данному факту в Министерстве внутренних дел республики была создана оперативная группа, возглавляемая заместителем министра внутренних дел Грузинской ССР полковником милиции Г. Квантиадзе.

Начался поиск. Из опроса работников ресторана было установлено, что 26 декабря 1982 года в 20 часов 30 минут трое неизвестных парней, будучи в нетрезвом состоянии, зашли в ресторан «Ломтагора» и затеяли с буфетчиком скандал. А когда в разговор вмешалась официантка, один из парней бросился на нее и хотел избить, но его вывели из ресторана и, насильно усадив в машину «Жигули» белого цвета, отправили домой.

Через несколько часов членам оперативной группы стали известны автомашина «Жигули» А 91-24 ГА, принадлежавшая некоему Давиду Церетели, проживающему в г. Тбилиси по ул. Носедзе, 51.

С ним и начали распытывать члены оперативной группы злополучный клубок.

А теперь посмотрим, как разворачивалась события накануне взрыва.

...26 декабря Давид Церетели вместе со своими друзьями Р. Пирцхалава, Д. Асатиани, сестрой и затем находились в гостях в Болнисском районе. Вечером они выехали из Болниси по направлению к городу Тбилиси. Компания была навеселе, и по дороге они решили заехать в ресторан г. Марнеули. Время было позднее, в зале не было посетителей и работники ресторана собирались закрыть его. Парни, несмотря на отказ буфетчика отпустить товар, стали требовать шампанское и сигареты. В это время в разговор вмешалась официантка и стала выгонять их из ресторана. Парням ничего не оставалось делать, как покинуть ресторан с затаенной в душе злобой и желанием отомстить за нанесенное оскорбление. Но как? Тут Церетели вспомнил, что дома у него хранилась граната. Взяв ее из дома, он снова вернулся в г. Марнеули. Подъехав к ресторану и бросив гранату в зал, он сел в машину и спокойно отправился домой, уверенный в своей безнаказанности.

Однако благодаря слаженной, четкой работе сотрудников служб уголовного розыска, следствия, экспертов-криминалистов преступление было раскрыто по «горячим следам», а Церетели задержан и привлечен к уголовной ответственности.

Г. ЛОМИНАДЗЕ,
начальник отдела по особо важным делам УУР МВД ГССР, подполковник милиции.

ОТ РЕДАКЦИИ: Эта история во многом поучительна. Случай, который произошел в ресторане «Ломтагора» Марнеульского района, свидетельствует о том, как невнимательно относятся работники милиции к таким важным объектам сферы обслуживания, как рестораны, кафе, бары. Именно эти объекты должны постоянно находиться в поле зрения сотрудников правоохранительных органов. Сотрудники горрайорганов внутренних дел республики должны усилить профилактическую работу на этих участках, установить дежурства и проводить рейды, чтобы печальная история ресторана «Ломтагора» впредь больше не повторялась.

Сто шестьдесят четвертый слушает...

ППС — это патрульно - постовая служба. Она является основным средством обеспечения общественного порядка и борьбы с преступностью на улицах, площадях, в парках, на транспортных магистралях, вокзалах.

Но вечерам на улицах нашего города можно увидеть белосиние автомашины с этими тремя буквами на борту.

Один день мы провели на дежурстве вместе с лучшим экипажем патрульно-постовой службы — командиром, сержантом милиции Мерабом Глушвили и водителем-милиционером Федором Гучаевым.

Машина идет по привычному для экипажа маршруту: площадь Ленина, проспект Руставели, правая набережная Куры, площадь Героев.

— Совсем недавно, проезжая около старой автостанции, мы заметили в темноте в глубине сада автомашину «Жигули-2103» белого цвета, — начал рассказывать Мераб Глушвили. — Когда подъехали поближе, увидели, что машина без номеров, а внутри копошатся двое парней. Они настолько были увлечены, что не заметили наше приближение. Пока я брал одного, другой успел убежать. За ним погнался Федор Гучаев. В этом кроссе победу одержал Федор. Вскоре обоих мы доставили в Калининский РОВД г. Тбилиси.

Позже выяснилось, что машина была угнана из г. Рустави.

Федор Гучаев и Мераб Глушвили работают вместе уже 2 года и успели за это время подружиться. Они понимают друг друга с полуслова. Именно это взаимопонимание не раз помогало им при задержании правонарушителей.

— Это шестьдесят четвертый, это шестьдесят четвертый, Я — «Анана», — прерывает наш разговор голос из динамика. — Угнано такси 24-88 ГАА. Повторяю...

После демобилизации из рядов Советской Армии в 1975 году пришел в органы внутренних дел Мераб Глушвили. Сначала работал водителем отдела вневедомственной охраны Ленинского РОВД. А в 1979 году, когда была организована патрульно-постовая служба, был рекомендован туда. Мераб награжден Почетной грамотой ЦК ВЛКСМ, ему присвоено почетное звание «Постовик № 1», а экипаж, который возглавляет, имеет почетное звание — образцовый.

Федор Гучаев в органы внутренних дел пришел по рекомендации коллектива виноградарского совхоза «Земля Оканя Каспского района. Несмотря на то, что в органах внутренних дел он сравнительно недавно — стаж его насчитывает 2 года, — успел рекомендовать себя хорошо. Не раз за проявленное мужество и оперативность при задержании преступников поощрялся руководством подразделения.

7 часов вечера.

— Сто шестьдесят четвертый, сто шестьдесят четвертый, Я — «Анана». — В ресторане Дарьял» драка.

Водитель резко разворачивает машину, и мы едем в сторону ресторана «Дарьял».

На месте выясняется следующее. Двое молодых парней, изрядно выпив, подняли дебош, пристали к пожилому мужчине, ветерану войны, который зашел в ресторан перекусить, стали ругать его нецензурными словами.

Распоясавшихся хулиганов Федор и Мераб вывели из ресторана и, доставив в Калининский работает милиции, продолжили дежурство.

Федору с Мерабом не раз приходилось утихомиривать буйствующих пьяниц, взывать к порядку правонарушителей, приходить на помощь попавшим в беду людям.

Я покидаю экипаж. Мераб и Федор продолжают дежурство. Снова привычный маршрут... Спокойного вам дежурства, ребята!...

А. САРКИСЯН.

НА СНИМКЕ: командир экипажа сержант милиции М. Гуголишвили докладывает старшему лейтенанту милиции Г. Нарикдошвили о результатах дежурства. У машины — Ф. Гучаев.

Фото Л. Косиной.

ლიტერატურული საქართველო

ძვირფასო მეგობრებო!

დიდი სიხარულით შევიტყვეთ, რომ განახლდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გაზეთ „მებრძოლი გუშაგის" გამოცემა.

ქართული მწერლობა მუდამ ყურადღებით ადევნებდა თვალს და ცდილობდა შეძლებისდაგვარად აესახა რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მოღვაწეობა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, წარსულის მავნე გადმონაშთების აღმოფხვრისა, სამართლიანობის დასამკვიდრებლად.

ახლა ამ საქმეს თქვენი გაზეთის სახით ერთგული მეგობარი ეყოლება და ეჭვი არ გვეპარება, რომ „მებრძოლი გუშაგის" ფურცლებზე ყოველმხრივ აისახება საბჭოთა ჩეკისტის, მაღალი ზნეობითა და მორალით აღჭურვილი მებრძოლის სახე და საქმეები. ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობას საშუალება მიეცემა უფრო ახლოს გაეცნოს თავისი ერთგული მცველი — მილიციის ორგანოების მუშაობას.

წარმატებას ვუსურვებთ რედაქციის მთელ კოლექტივს, თავის რთულსა და საპატიო საქმეში.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია

Могло бы и не быть...

Органами внутренних дел Грузинской ССР многое делается для улучшения общественного порядка и уменьшения преступности в нашей республике. Оперативная обстановка за первые недели нового года заметно оздоровилась. Значительно снизилось число преступлений по линии уголовного розыска, сократилось количество наиболее опасных преступлений.

Однако все еще велико число преступлений, совершаемых на бытовой почве. Так, 5 января этого года в селе Сальме зоны города Гагры водитель колхоза названного села Г. Хубулава из принадлежащего ему незарегистрированного охотничьего ружья ранил свою мать, которая по доставлению в больницу скончалась.

8 января в 13 часов жительницы города Кобулети — домохозяйка Е. Муселян и ее дочь, временно не работающая Ж. Сулаберидзе, ворвались в дом В. Чахунашвили, своего бывшего соседа, в настоящее время проживающего в селе Гоми Самтредского района. Там, во время ссоры, Муселян произвела выстрел в Чахунашвили, но промахнулась. Тогда ее дочь схватила топор, находившийся в доме, и нанесла Чахунашвили два удара в область головы.

9 января в селе Хаиши Местийского района в дом В. К. Чкадуа, где справлялась свадьба, вошел односельчанин М. Н. Чкадуа, 1921 г. р., рабочий строительства Худонской ГЭС, ранее судимый. Из пистолета двумя выстрелами он убил сидевшего за столом П. Сабаниздзе, после чего сам был убит ударом ножа, нанесенного кем-то из присутствующих.

Этих преступлений могло бы и не быть, если бы в органах внутренних дел районов, где они произошли, больше внимания уделялось профилактике бытовых преступлений, выявлению конфликтующих сторон, выяснению причин этих конфликтов и их устранению.

Кроме того обращает на себя внимание тот факт, что в основном эти преступления совершаются оружием, не зарегистрированным в милиции. Сотрудникам разрешительной системы надо улучшить работу по выявлению оружия, укрытого от учета.

Правильно организованная профилактическая работа — залог предупреждения многих преступлений.

Г. МАКАРАШВИЛИ.

საზღვარგარეთული მოზაიკა

გასული წლის მხოლოდ 9 თვეში იტალიაში დაიღუპა 249 ადამიანი, რომელთა უმრავლესობა ახალგაზრდები იყვნენ. ამ ცნობას მოწმობს ოფიციალური სახელმწიფო მოხსენება.

* * *

ახალი წლის ღამეს ნიუ-იორკში მოხდა 4 ბომბის აფეთქება. ერთ-ერთი ბომბის აფეთქებამ გამოძიებათა ფედერალური შენობა დააზიანა.

* * *

ნიგერიის დედაქალაქის მახლობლად მეკობრული თავდასხმა განიცადა შვედურმა სავაჭრო გემმა, კაპიტნის თანაშემწე ტყვიით მძიმედ დაიჭრა.

გასული წლის ბოლო 9 თვის მანძილზე, ნიგერიის ტერიტორიალურ წყლებში მეკობრული თავდასხმის მსხვერპლი გახდა 14 გემი.

* * *

კენიის მდინარე ტანა სავსეა ნიანგებით. ბოლო დროს არაერთი მწყემსი, ბავშვი და მდინარის პირას სოფლების სხვა მცხოვრებნი გახდა ამ ქვეწარმავალთა მსხვერპლი. ტურიზმის მინისტრი ე. ვანგალე შექმნილი ვითარებიდან მხოლოდ ერთ გამოსავალს ხედავს — „ყელამდე გავძღოთ ნიანგები... მაიმუნებით, რომელნიც სოფლის მეურნეობას საკმაო ზიანს აყენებენ.

შეეკითხებიან — პასუხი იქნება

თავისი არსებობის ჩვიდმეტ დღეს ითვლის განახლებული გაზეთი „მებრძოლი გუშაგი". მაგრამ რედაქციაში უკვე ბევრი წერილი მოდის. გვეკითხებიან, რჩევას გვთავაზობენ, პირდაპირ მიუთითებენ ნაკლზე, რომელიც დისციპლინის, ყაირათიანობის და ადამიანის ზნეობრივ-მორალურ საკითხებს ეხება. რედაქციამ განიხილა შემოსული წერილები და ბევრ საკითხში ეთანხმება ავტორებს.

„ჩემი სამსახურებრივი სპეციფიკის მიხედვით ბევრ ქვეყანასა და კაპიტალისტურ ქალაქებში ვყოფილვარ, — გვწერს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა. ხ-ძე, — როგორც ავტომოყვარული ავღნიშნავ: დილა ყველგან სატრანსპორტო პიკი საათით იწყება რომელიც ერთ საათამდე გრძელდება, შემდეგ კი ქუჩები და მაგისტრალები თითქოს ისვენებენ. წყნარდება ქალაქი საშუადღეო შესვენებამდე. შესვენების შემდეგ ისევ თხელდება ავტომობილების ნაკადი და სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, ისევ პიკის საათი იწყება. თბილისში ეს პროცესი თითქმის გადაბმულია. ადრიანი დილიდან გვიან ღამემდე ქუჩები და გზები გადატვირთულია ავტომობილით და უმრავლესობას კერძო მფლობელთა ავტომობილები შეადგენენ. იქმნება შთაბეჭდილება, ვისაც ავტომობილი აქვს მუდმივ მოძრაობაშია. ნუთუ არსად არ მუშაობს ეს ხალხი?

გარდა ამისა ავტომობილების გამუდმებული მოძრაობა იწვევს გამონაბოლქვი აირებით ატმოსფეროს გაჭუჭყიანებას, ზედმეტ ხმაურს, რაც ხელს უშლის დაწესებულებებისა და სასწავლებლების ნორმალურ მუშაობას, უმიზნოდ იხარჯება უამრავი ბენზინი. ხომ არ დადგა დრო, — კითხვით მოგვმართავს წერილის ავტორი, — ამ საკითხით დაინტერესდნენ შინაგან საქმეთა ორგანოები, განსაკუთრებით კი სახელმწიფო ავტოინსპექციის სამსახური. დაინტერესდნენ და გაარკვიონ, ვინ აცდენს დროს უქმად, ვინ ჰპარტლავს თბილისის ქუჩებს, ვინ და რატომ ფლანგავს ბენზინს, ტეხს ხმაურს"...

ამ წერილის აზრს სხვა ავტორებიც იზიარებენ.

„ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში მთელი ფრონტითაა გაშლილი დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა, — გვწერს ექიმი — ანესტეზიოლოგი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი გ. რ-ძე, — როცა თვითეულ წუთს ფასი დაედო შრომის ყველა უბანზე, როცა წარჩინებული შრომითი კოლექტივები თაოსნობას თაოსნობაზე იჩენენ, იმუშაონ მოცდენისა და დროის დანაკარგების გარეშე, მიაღწიონ სანიმუშო დისციპლინას, მაღალ ორგანიზებულობას, აქტიურობას, და პასუხისმგებლობას თითოეულისაგან ყველგან და ყველაფერში, ჯერ კიდევ ვხვდებით თბილისის ქუჩებში სამუშაო საათებში უქმად მდგარსა და მოსეირნე ხალხს, რესტორნებში მოქეიფეთა ტევა არაა, სავსეა რიგში მდგომი უამრავი ავტომანქანებით, ბენზინგასამართი სადგურები, ავტოპროფილაქტორიუმები. ნუთუ ყველას დასვენების დღე აქვს, ნუთუ ყველა უსაქმურია, ან მათ სამსახურებში პატრონი და გამკითხავი არაა?".

რედაქციის მართებულად მიაჩნია მშრომელთა წერილებში აღძრული საკითხები და ფიქრობს, შინაგან საქმეთა ორგანოების სათანადო სამსახურებთან ერთად მოაწყოს ერთობლივი რეიდები ამ პირთა გამოსავლენად და გამოსამზეურებლად, ვინც მხოლოდ გართობის, დროსტარების და პირადი მიზნებისათვის ფლანგავს იმ დროს, რისთვისაც ჯამაგირს უხდიან, ვისაც არად მიაჩნია სამუშაო წუთის, საათის, დღის გაცდენა.

„Советская милиция" № 12

Вышел очередной декабрьский номер журнала «Советская милиция». Он открывается Обращением Центрального Комитета КПСС, Президиума Верховного Совета СССР и Совета Министров СССР к коммунистам, к советскому народу. Дано информационное сообщение о внеочередном Пленуме ЦК КПСС и речи на нем тов. Ю. В. Андропова и К. У. Черненко.

«Навеки вместе» — под таким заголовком помещается статья члена Президиума Верховного Совета СССР, Героя Социалистического Труда, бригадира объединения «Зеленоградстрой» Н. Злобина о 60-летии образования Союза ССР.

Под рубрикой «Организация, управление» публикуется статья «Комплексно о комплексе» о проблемах дальнейшего укрепления правопорядка в регионах территориально - производственных комплексов.

В разделе «Верность присяге» дается подборка материалов о лучших сотрудниках милиции, которые своим добросовестным трудом, деловыми и моральными качествами с честью выполняют требования Присяги.

В разделе «Литература и искусство» публикуется продолжение романа Герхарда Шерфлинга «Волос блондинки».

В номере опубликованы также официальные сообщения с коллегии МВД СССР, назначения руководящих работников, спортивные новости и указатель основных материалов, опубликованных в журнале за 1982 год.

ИЗ ИСТОРИИ...

◆ Минские милиционеры в марте 1917 года, опираясь на помощь трудящихся, взяли на себя, в частности, контроль за правильным распределением продуктов и предметов первой необходимости, объявив беспощадную войну саботажу буржуазии и спекуляции.

◆ В первый месяц октября члены коллегии Наркомата по внутренним делам работали с утра и до позднего вечера, не отрываясь даже на обед: столовая помещалась в Смольном, ходить туда было далеко, а времени терять не хотелось.

◆ В трудные дни Отечественной войны, когда все продовольственные и промышленные товары имели оборонное значение и строго нормировались с расчетом равномерного распределения их среди трудящихся, борьба милиции со спекулянтами, расхитителями, ворами, дезорганизаторами советской торговли сыграла заметную роль в укреплении тыла.

სარედაქციო კოლეგია

Редакционная коллегия

ТБИЛИССКИЙ

ФАКУЛЬТЕТ МОСКОВСКОЙ

ВЫСШЕЙ ШКОЛЫ

МИЛИЦИИ МВД СССР

ОБЪЯВЛЯЕТ

ПРИЕМ СЛУШАТЕЛЕЙ НА 1983-1984 УЧЕБНЫЙ ГОД (ДНЕВНОЕ ОТДЕЛЕНИЕ)

Тбилисский факультет Московской высшей школы милиции МВД СССР готовит специалистов с высшим юридическим образованием для органов внутренних дел Грузинской ССР.

На факультет принимаются лица мужского пола из рядового и младшего начальствующего состава органов внутренних дел, а также гражданские лица, прошедшие действительную военную службу, в возрасте до 30 лет, имеющие законченное среднее образование и годные по состоянию здоровья к службе в органах внутренних дел.

Отбор кандидатов для сдачи вступительных экзаменов проводит отборочная комиссия МВД Грузинской ССР.

Желающие поступить на Тбилисский факультет Московской высшей школы милиции МВД СССР до 30 апреля подают заявление на имя начальника горрайоргана внутренних дел по месту жительства, а сотрудники отделов внутренних дел подают по команде рапорт.

Поступающие сдают конкурсные вступительные экзамены в объеме программы средней школы по русскому языку и литературе (письменно и устно), истории СССР и иностранному языку (устно). Вступительные экзамены проводятся с 1 августа.

Награжденные по окончании средней школы золотой медалью, окончившие среднее специальное учебное заведение с отличием сдают экзамены по истории СССР и зачисляются на учебу вне конкурса при условии, если экзамен сдан с оценкой «пять».

Слушателям факультета выплачивается стипендия. Они обеспечиваются бесплатным общежитием, обмундированием и питанием.

Слушателям из числа работников органов внутренних дел, имеющим стаж службы не менее шести месяцев, сохраняются оклады денежного содержания.

Обучение — на русском языке. Срок обучения — 4 года.

Более подробно с правилами приема можно ознакомиться в Управлении кадров МВД Грузинской ССР (г. Тбилиси-4, улица Шевченко № 3).

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

ოთხშაბათი, 19 იანვარი

პირველი პროგრამა. 18.30 — მხატვრული ფილმი „[illegible]". 18.40 — „[illegible]".

მეორე პროგრამა. 18.05 — მხატვრული ფილმი „[illegible]".

ხუთშაბათი, 20 იანვარი

პირველი პროგრამა. 11.40 — ტელევიზიის მხატვრული ფილმი „მოდიოდნენ კომკავშირლები".

პარასკევი, 21 იანვარი

პირველი პროგრამა. 10.30 — ტელევიზიის დოკუმენტური ფილმი „[illegible]". 11.35 — ტელევიზიის მხატვრული ფილმი „[illegible]". 18.55 — [illegible]. 20.30 — მხატვრული ფილმი „[illegible]".

მეორე პროგრამა. 17.05 — ტელევიზიის დოკუმენტური ფილმი „ლენინური ადგილები ხანძარში და ლენინი ნიუ-ნოვგოროდში".

შაბათი, 22 იანვარი

პირველი პროგრამა. 12.55 — [illegible]. 17.10 — „[illegible]".

კვირა, 23 იანვარი

პირველი პროგრამა. 19.00 — „[illegible]". 20.30 — პირველად ჩვენს ეკრანებზე მხატვრული ფილმი „პეტროვკა-38".

გაზეთი გამოდის ორშაბათობით

ГАЗЕТА ВЫХОДИТ ПО ПОНЕДЕЛЬНИКАМ

ჩვენი მისამართი: 380004, ბესიკის ქ. 4. ტელ. 991-44-39, 991-40-91.

Наш адрес: 380004, ул. Бесики, 4. тел. 991-44-39 991-40-91

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14. [illegible] უე 08616 შეკვეთა 29.